ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12
2021 წლის 18 ნოემბერი

დაბა ხულო

,,ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №5 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილების დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული სისტემით არჩეული 16 წევრისაგან და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 8 წევრისაგან.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს მეხუთე მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან.

ხულოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ჯუმბერ დიმიტრაძე**